კლდე

№ 5

8 თებერვალი, 1915 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.



თბილისი. ქალაქის ძველი ნაწილი.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ:
1. ოსანნა!—დ. ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲘᲡᲐ. 2. საჩხერედან თბილისამდე.—ია ᲡᲘ 3. გამოქვეყნება.—რ. გ-ესი 4. საშხრეთის სათურთხე.—ს. Კ-ᲡᲘ. 5. სხვა და სხვა ამბავნი. 6. შეკრული ფეთებთან.—ᲥᲐᲠᲗᲚᲔᲚᲘᲡᲐ. 7. ზირგეოი ზერიოდის დასასრული ოსმალეთის ასვარეზზე.—ᲓᲐ ᲒᲔᲜᲐᲡᲐ. 8. ხმა სათურიდან Გ. ᲜᲘ ᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ. 9. წეკრი ეხვეწება.—რ. ფაფლენიშვილისა. 10. ქრონიკა შეხალეთა ამსახველობა „ქართველებისა“—ᲬᲔᲕᲠᲘᲡᲐ. 11. De mortuis aut bene aut nihil.—Რ. ᲒᲔᲡᲘ.

ᲝᲡᲐᲜᲜᲐ!

(აკაკის ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ).

ოსანნა!

ჰეი, მოზარეე, შეაჩერე ეგ გლოვის ზარი! თქვენც, მეგობარნო, ცრემლს ნუ აფრქვევთ, იკმარეთ მოთქმა! ძაძა შესცვალეთ ცისკრის სხივის ვარდის კაბებად, დაეწყეთ რიგად და სუნნელი ზეთის ხილისა ნაზ ყვავილებით გზა დაუგეთ დიდებულ ქურუმს!

ოსანნა!

ოჰ, გიხაროდენ... გიხაროდენ!.. დაჭარით წინწილს და ნორჩ სიონში აღავლენდეთ საგალობელსა! თურმე ვცდებოდით.. ჩვენ ძილის დროს დიდმა მოძღვარმა იქ, იმ თაბორის მზიურ წვერზე, ნახა დავითი, წმინდა ქეთევან, დიდი ნინო და თვით თამარი, გადასცა ჩვენი ჭირ-ვარამის და ნაღვლის დროშა და, რა იცვალა საიდუმლოდ ბრწყინვალე ფერი, კვლავ დაგვიბრუნდა საცნაურის განსაგრძელებლად!

ოსანნა!

ვიშ, ამ დიდებას სანეტარო ფერის ცვალებას! აგერ ეს კალთა დაფიქრებულ ჩვენი წმიდა მთის, ეს ყვავილები, მზის სხივები, ლრუბელთ მიმოსვლა, ცისარტყელის კენჭოა ციაგობა, სირნი თუ მწვერნი იდუმალის ხმით ამალობას უწევენ ქურუმს.. აგერ, დაეშვა... სხივთა წვიმით ჰნამავს მიდამოს.. მთა ყვავილდება... მთა ენთება დიად კოცონად... წმიდა მთა ჰხდება უკვდავების დიად ძეგლადა... იქ, იქ ამოდის ჩვენ მყობადის ცეცხლის ცისკარი... იქ იქსოვება მარადიულ ცხოვრების ბედი, ნორჩ საქართველოს სიცოცხლისა სიმრთელ გვირგვინი...

ჰეი, მოზარეე, შეაჩერე ეგ გლოვის ზარი! ქართლისა დედავ, თმებს ნუ იგლეჯ, იკმარე ცრემლი! თქვენც, ახალგაზრდა საქართველოს ნორჩნი შვილებო, ზეთის ხილის შტო დაუფინეთ დიდებულ ქურუმს და კიდით-კიდე სანეტარო ფერის ცვალებას იგალობებდეთ და იტყოდეთ როკვით:

„ოსანნა!“

დ. ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ.

საჩხერედან თბილისამდე

შორაპნის სადგურზე თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა, ჩვენი სხვა და სხვა დაბა-ქალაქიდან ჩამოსულმა; 4 თებერვალს. დილის 6 საათზედ მატარებლით საჩხერისაკენ გაემგზავრა ძვირფასი გარდაცვალებულის თაყვანის საცემლად. ᲨᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲐᲛᲘᲜᲓᲡ ᲑᲘᲠᲘ ᲣᲩᲐᲜᲓᲐ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲘᲩᲔ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲝ. და გრილი სიო ადრიანი დილისა ნაზ-შერხევით ავსებდა მდინარე ყვირილის ხეობას, მზის გამოთბობ სხივების მოლოდინში. ხან დუნეთ, ხან სწრაფად მისდევდა პატარა მატარებელი დაგრეხილ ხეობას, და თითონაც იკლაკნებოდა, იგი კეკლუცად ეკლებოდა დახრეხილ ხეობას. გაღმა-გამოღმა დევის ძუძუებივით ამომჯდარი სერები აქა-იქ შემწვანებულა კიდეც, აქა-იქ შემკობილა აყვავებულ ხე-მცენარეებით. თებერვალი საგაზაფხულოდ მოკაზმულა. ნეტაროობ, რომ ყველა ამის ხილვა შეგიძლიან, მწუხარებ. რომ ივერიის შვილი სიკვდილმა თვისდა საამაყოდ დაამარცხა და საშუალოდ დაახუჭინა თვალები.

მიჰქრის მატარებელი, მიმაქროლებს თან. დასანახი დანახულს სჯობია. მზემაც გამოაშუქა, სანახაობა შეაოქროსფერა, ბუნების სილაპაზეს ჯადო გადააფარა...

საჩხერის სადგურზე მატარებელი შესდგა. უზომო კაეშნით მოცული ქართველობა გამოვიდა და შეჰყვა ალმართ-ალმართ... 11 საათზედ მიაღწია ძვირფასი განსვენებულის ადგილს. სოფლები ჭრელი, სადა, პირდაპირი, მოწიწებით კაცით-კაცამდე მო-

სულა გამოსათხოვრად... დადუმებულის კუბოს ეხვევა ერი ეზო მიდამოს... დაასრულეს წესის აგება.

ჯრუჭის მონასტრის წინამძღოლი სიტყვას ამბობს. დადუმებული დასძრეს ადგილიდან. კუბოს გარს შემოკრბენ ქართველთა მწერლები. წამოიშალა და პროცესიაში ჩაება 15-20 ათასი კაცი და ქალი, დიდი თუ პატარა. გზა და გზა გამართულია მწვანით შემკული თაღები წარმოსთქვამენ სიტყვებს. ემშვიდობებიან თავიანთ სათაყვანებელ თანამემამულეს. დიდი ქართველი სიჩუმით მეტყველებს. ორის ნახევარზე მიცვალებული დაასვენეს სადგურ სახსრის მოედანზედ. შავი დროშები მორიდებით იშლება ნიავის შემობერვაზედ. სიჩუმეა. წარმოითქვა სიტყვები... მიცვალებული საგანგებოდ შემკულ ვაგონში დაასვენეს. სრულ სამ საათზედ მატარებელი დაიძრა. სათაყვანებელი მიცვალებული მოგლიჯეს ადგილს, საცა იშვა და სადაც პირველად დაიდგა აკვანი საქართველოს მომავალი დიდებისა. მატარებელი მძიმე-მძიმედ მიდის, დარცხვენილი ჩადენილის დანაშაულით. მაგრამ სურვაა მშობელი ერის, მიცვალებულიც თავს სანთელივით დაადნეს, შეეწიროს ხორციელადაც! და მესაიდუმლეც ერისა განსჭვრეტს მშობელის ზრახვასა, დუმილით ადასტურებს, მაგრამ თითქოს რჩება უკან, ყველაზედ უკან მობრძანდება...

თაყვანისმცემელი ქართველობა გზა და გზა სადგურებზე მოზღვავებულა და დაჩოქილი, ღვთაებრივ მოწიწებით უხვდება და აცილებს კიდეც საუკუნოდ მიმავალსა. საღამოს შვიდ საათზედ, მორაბნის სადგურს მოადგა ამიერიდგან გაუჩინარებული დიდი სტუმარი ივერიისა.

სამგლოვიარო მუსიკამ მწუხარე ჰანგები ჩაუკვნესა დადუმებულის სმენას. და მოჭირისუფლე მგლოვიარე ქართველობას. გადაასვენეს სხვა შემკულ ვაგონში. ცხედარს სდარაჯობდნენ მოწიწებით მისი თაყვანისმცემელნი.

5 თებერვალს, დილის რვა საათზედ მატარებელი დატვირთული ძვირფასი ნობათით, გამოეშურა საქართველოს დედა-ქალაქისაკენ.

სადგურებზედ ბლომად მოსული ხალხი გლოვით, პატივით და დიდებით თაყვანს სცემს ერის სიამაყეს. ნაშუადღევის სამ საათზედ მატარებელი თბილისის სადგურს მოადგა.

—ია.

გამოქცეულები

წარსულ ნომერში ჩვენ მივაქციეთ მკითხველის ყურადღება იმ უცნაურ მოვლენაზედ, რომ გამოქცეულებში არ არიან შეძლებულნი, არამედ უღარიბ-ღატაკესი ელემენტები. ეხლა ამ საკითხს, სხვებთან ერთად, უფრო დაწვრილებით უნდა შევეხოთ რომ ნათლად დავინახოთ „გამოქცეულთა საკითხის" ხელოვნური შექმნა. ჩვენ დანამდვილებითი ცნობები გვაქვს, რომ მაგალითად, სპარსეთიდან და ოსმალეთის ზოგიერთი ადგილებიდან არ დაძრულა არცერთი შეძლებული სომეხი, იქიდან „გამორბიან" მხოლოდ ღარიბ-ღატაკნი. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ამაში დავრწმუნებულიყავით ჩვენის თვალითაც იმ გამოქცეულთა დათვალიერებით, რომელთაც თავი მოიყარეს თბილისში. არც ერთი ინტელიგენტური სახე, არც ერთი ფასიანი ტანისამოსი, არც ერთი ნიშანი, დამამტკიცებელი შეძლებულობისა. რა არის მიზეზი ასეთის უცნაურობისა? ჩვენ ვიცით რომ მაგალითად არტაანიდან, ახალქალაქიდან არიან შეძლებული გამოქცეულნი, არიან გაღარიბებულნი, მაგრამ სპარსეთ-ოსმალეთიდან გამოქცეულთა შორის ესეთები არ არიან. ჩვენ ვიცით, ჩვენ თვითონ გამოვცადეთ, თუ როგორ გარბოდნენ თბილისიდანაც კი, როცა შიშიანობა ჩამოვარდა—მხოლოდ შეძლებულნი—არუთინოვები, დოლუხანოვები, ჩვენი შეძლებული ჩინოვნიკობა, ქართველები, რუსები და სხ. ღარიბ-ღატაკნი, სომხები იყვნენ ისინი, ქართველები, რუსები თუ სხ. არსად გარბოდნენ. და ეს საერთო კანონია, რომ შიშს უფრო ადვილად გაურბიან შეძლებულნი, რადგან აქვთ რა დაჰკარგონ და შეუძლიანთ გაქცევა, მაშინ როდესაც შეუძლონი იგვიანებენ ამ სირბილში შიშის წინაშე. გრადაცია გაქცევის ინტენსივობისა თითქმის კანონის მზგავსად ემორჩილება ქონების რაოდენობას: რაც მეტი აქვს ადამიანს, მით უფრო ადვილად გარბის, რადგან მართლაც მით უფრო მეტი შიში მოელის; და ოსმალეთსა და სპარსეთში კი ეს კანონი უკუღმა შეტრიალებულია. რატომ? მხოლოდ იმიტომ რომ ეს გამოქცეულები ნამდვილის შიშით კი არ არიან შეპყრობილნი, არამედ ორმაგი პოლიტიკით. ჯერ ერთი სპარსეთის და ოსმალეთის მდიდარი და შეძლებული სომხობა თვითონ აბრიყვებს ღარიბ ღატაკებს და თავიანთ მთავრობებთან ერთად ძალით თუ

პროპაგანდით ისტუმრებს მათ უცხოეთში, სადაც ჰპირდება თითქმის აღთქმულ ქვეყნებს და თან თავიდან იშორებს მოუსვენარს და შემაწუხებელს ელემენტებს; აშინებს მათ ჟლეტისა და ხოცვის შიშით და სხ. ეს ერთი მხრით; მეორე მხრით აქაური სომხობა მართლაც შველის გამოქცეულებს და ამ საკითხისათვის შესძრა მთელი აქაური, რუსეთის და ინგლისის საზოგადოების ნაწილიც კი. ის ღარიბ-ღატაკნი, რომელთაც თავის სამშობლოში იქნება პურიც არ ენახათ თვალითა, რომელნიც იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ პირუტყვებთან ერთად და რომელთაც „წარმოდგენაც კი არა აქვთ, რა არის ჩაი და შაქარი; რომელნიც უარს ამბობენ თევზის ჭამაზედაც, რის გამო მთელი ვაგონი შეწირული თევზისა უნდა გაგვეყიდნათ“ — როგორცა სწერს „კავკ. სლოვოში“ მღვდელი ასლანიანცი — ასეთი ღარიბ ღატაკნი რასაკვირველია გამოიქცეოდნენ და კიდევაც გამოიქცევიან ათასობით, როცა აქ ურიგებენ ტანისამოსს, თეთრ პურს, სანოვაგეს, ჰქმნიან მათთვის სასადილოებს, სამკერვალოებს, პოულობენ სამუშაოს, აძლევენ საქონელს, იარაღს და ზოგან მიწასაც.

ასეთი მოსატყუებელი (приманка) საგანი* ჩვეულებრივ პირობებშიაც ბევრია ხოლმე და განა ჩვენ ვერა ვხედავდით უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მრავლად მოსულ ქურთებს, აისორებს, სომხებს და სხვათა, როდესაც არც ჟლეტა და არც არა სხვა რამ უბედურება არ ტყდებოდათ თავს? არა, დღევანდელი ტალღა გადმოსახლებულთა მხოლოდ გაგრძელებაა და გაინტენსივება იმ მოძრაობისა სამხრეთიდან, რომელიც გვიგზავნის და გვიგზავნის სიღარიბეს, ავადმყოფობას და საფრთხეს ეკონომიური დაძაბუნებისას.

ომმა მხოლოდ უფრო ადვილად აჰყარა და ააფორიაქა ეს ღატაკები უკეთესი და ამასთან მუქთი საშოვარისათვის, რაღა თქმა უნდა რომ შიშიც უწყობს ხელს ამ გამოქცეულებს, მაგრამ როდესაც ყოველ დღე ესმით მათ, რომ აქ ამდენი ფული შეგროვდა მათთვის, აქ გროვდება მათთვის ტანთსაცმელი, საქონელი, სამუშაო იარაღი, აქ მათ შვილებს ასწავლიან წიგნს, ჭრა-კერვას, სამუშაოს, აქ ეძებენ მათთვის პასპორტებს, უფასო ბილეთებს რკინის გზაზედ, უფასოდ დააქვთ მათი ბარგი, უფასოდ ურიგებენ აბანოს ბილეთებს *) და სხ. და სხ. — ეს დიდი მოტივია იმისათვის, რომ შინ დარჩენილებიც მოაწყდნენ ასეთ სამოთხე ადგილებს. და აკი ყოველ დღეც გვესმის ამბები, რომ კიდევ და კიდევ მოდიან ღარიბ-ღატაკი გამოქცეულები. აი დღეს აღძრულია საკითხი, რომ მათი [illegible] საბადებელი, ბარგი და თვითონ ისინიც უფასოდ გამოატარონ საზღვრის საბაჟოებში და სხ. და სხ.

ეხლა შევეხოთ მეორე მხარეს — თუ რას უმზადებს ეს „სიღარიბის ტალღა“ ადგილობრივ მკვიდრთა. ყველამ იცის თუ რა საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოთ სიცოცხლისათვის სიღარიბე, რამდენი ავადმყოფობა, უბედურება, სიკვდილი მოსდევს მას თანა და ნათლად წარმოიდგენთ თუ რამდენად გაიზრდება ეს უბედურებანი მაშინ, როდესაც ღარიბ-ღატაკნი ერთად არიან თავმოყრილნი, ჯგუფ-ჯგუფად მოთავსებულნი. ყოველი ეპიდემია, ყოველი სენი ელვის სისწრაფით ვრცელდება უპირველეს ყოვლისა ღარიბ უბნებში, სადაც უსუფთაობა, შიმშილი და სიცივე მეფობს, სადაც ანტისანიტარული მდგომარეობა ქრონიკულ სენადაა გადაქცეული. ეს ასეა ნორმალურ პირობებსა და დროს და ერთი ათად მეტია საფრთხე მაშინ, როდესაც ნორმალური პირობები დარღვეულია, როდესაც ადამიანი ვეღარ იცლის იფიქროს სისუფთავესა და სიწმინდეზედ, თუნდაც რომ შეეძლოს ამ მხრით საქმის მოგვარება. მაგრამ გამოქცეულთათვის ფიქრიც კი მეტია, ისინი ვერ მოახერხებენ ამას, რადგან სიღარიბისაგან ძლივს სულს ითქვამენ და ვისა სცხელა სანიტარიისათვის. ერთის მხრით შიმშილი, რომელსაც აჩრდილივით თანა სდევს სახადი, მეორე მხრით უსუფთაო და უვარგისი საჭმელი, რომელსაც თან ახლავს დიზინტერია, მესამე მხრით სიცივე და სიშიშვლე, რომელსაც ათასი ავადმყოფობა და გადამდები სდევს თანა — ყველა ეს ჰქმნის ატმოსფერას და ბუდეს ეპიდემიებისას, რომელიც ემუქრება არა მარტო უბედურ გამოქცეულებს, არამედ ცოტად თუ ბევრად შეძლებულებსაც. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ღარიბნი ისევ ღარიბთ ემატებიან და მდიდარნი მათ თავიანთ სახლებში არ უშვებენ და ცხადი გახდება ის საშიში მდგომარეობა, რომელსაც ჰქმნიან სანიტარიის მხრით — ეს გამოქცეულები. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეხლა ომმა გაიწვია ჯარში თითქმის მთელი სამედიცინო პერსონალი და ჩვეულებრივ საზოგადოებასა და მკვიდრთაც მოაკლდათ სამკურნალო ძალა ერთის მხრით და ავადმყოფობის საწინააღმდეგო საშუალებანი მეორეს მხრით (сопротивляемость болѣзнямъ.)

ეხლა ზამთარია და სიცივე ერთგვარი მტერია

*) ცნობებს ვკრებთ სომხურ გაზეთებიდან.

გადამდები ავადმყოფობისა, მაგრამ გაზაფხულზედ უნდა ველოდეთ ათასგვარი სენის გავრცელებას, რომელიც ეხლაც ჰპოულობს საკმაო მსხვერპლსა: სახადი, ყვავილი, ხოლერა და სხ. ამაზედ უნდა ყველანი ღრმად ჩაფიქრდნენ, არა მარტო „გამოქცეულთა პოლიტიკის“ მწარმოებელნი, არამედ ადგილობრივი მკვიდრნიც და ადმინისტრაციაც, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს ხალხის ჯანმრთელობას (охрана народнаго здравія). ამას უნდა მიაქციონ ყურადღება ნამეტნავად ქალაქის თვითმართველობებმაც, რადგან ისინი უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი ომის გამოისობით: ქალაქები ხდებიან გზად, საცა რჩება აურებელ ჯარებს, მგზავრებს და ხალხს—ყოველ გვარი ჭუჭყი (отбросы) და სენი. ხალხის მჭიდრო მოსახლეობა ქალაქებში. ავალებს თვითმართველობათ ათასი თვალი გაახილონ, ათასი ხელი გამოიბან, რომ არანორმალურ პირობებს -ავე დააღწიონ როგორმე და ამ დროს შემოტანა და შექმნა ყოველგვარი სენის ბუდეებისა, გამოქცეულთა სახით,—ღალატია თავისი წინდა დანიშნულებისა. ამიტომ, სწორე გითხრათ, მეტად გაგვაკვირვა მაგალითად ქ. თვითმართველობის დადგენილებამ, რომ ცალკე აბანოების აშენების მაგიერ, გამოქცეულებს დაურიგდებათ ბილეთები უფასოდ ბანაობისათვის უკვე არსებულ აბანოებში. ეს გადაწყვეტილება მრავალმხრივ არის უხერხული და სახიფათო. ჯერ ერთი ეს გარანტია არ არის, რომ გამოქცეულები ისარგებლებენ ამით და იბანავებენ,—ის გამოქცეულები, რომელთაც არ იციან რა არის ჩაი და შაქარი, რომელნიც არა სჭამენ თევზს, და სძინავთ საქონელთან ერთად ადვილად წარმოსადგენია თუ რა აზრისანი იქნებიან ბანაობაზედ. გარდა ამისა, მუქთი ბილეთის გაყიდვით ისინი აიცილებენ თავიდან ამ „უსიამოვნო“ ოპერაციას და უფრო სასარგებლოდ იცნობენ ნაშოვნი ფულით პურის ყიდვას. მეორე მხრით წარმოვიდგინოთ, რომ ისინი მრავლად ივლიან აბანოში, მისი კარი კი დღე და ღამ ღია იყოს. განა თვით აბანოები არ შეიქმნებიან ბუდეებად სენის გასავრცელებელ რამდენია მაგალითები, რომ სწორედ აბანოებიდან მოუტანიათ ათაშანგი, ყვავილი, სახადი და სხ. მერე როდესაც ხალხი აირევ დაირევა—სად არის სანიტარია, რომელიც გასწვდება ყველაფერს. ჯერ ეხლავე რა ამბავია აბანოებში ყველა ხედავს, საცა სუნთქვა გეხუთება, გარშემო ჭუჭყის მრავალი ხალხისაგან და იძულებული ხარ საათობით იჯდე ამ ატმოსფეროში, ახლა დაურიგეთ მუქთი ბილეთები და მალე ჩვენ მოწამენი გავხდებით ისეთი ზედა ხროვისა, საცა ყოველგვარი ჭირისათვის ნამდვილი საჯირითო ასპარეზი იქნება. ამას დაუმატეთ ისიც, რომ გამოქცეულებს, რაც უნდა ულოლიავოთ, ვერ შეიმაგრებთ დამწყვდეულებს მიჩენილ [illegible]ში და პოლიციის განკარგულების მიუხედავად ისინი დაიწყებენ სიარულს კარდაკარ, სახლებში, მთელ ქალაქებში (რასაც უკვე ვხედავთ ჩვენის თვალით) და თავისი ფიზიკური არსებით შეიტანენ ყველგან იმ სენს, რომელსაც საკუთარი ფრთა გავრცელებისა შეკვეცილი ექნება.

ანტისანიტარის საფრთხეს მაგალ. თბილისში აორკეცებს ის გარემოებაც, რომ ომის გამო აქ, როგორც ცენტრში, თავს იყრის ისედაც ბევრი ხალხი და ჯარი, რომელსაც მუდამ კვება უნდა. გზები ამ დროს შეკრულია, რეგულიარული მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია და დრო და დრო შეფერხება მიმოსვლისა აძნელებს სანოვაგის, ფქვილის და საზოგადოთ სურსათის შემოტანას. ჩვენ უკვე განვიცდით ამის მძიმე შედეგებს—პურის გაძვირებას და ხანდახან უპურობასაც, ყველა სხვა საქონლის უშოვნელობასა და სიძვირეს. ამ ცხოვრების გაძვირებასა და არევ-დარევას შესამჩნევად ხელს უწყობენ გამოქცეულები, რადგან თავიანთ მასით მოითხოვენ საჭმელს, პურს და ისედაც გაძნელებული შოვნა უფრო ძნელდება, ამასთანავე, რაკი თბილისს და სხვა ქალაქებს, მთელს ამიერ-კავკასიასაც შეძლება არა აქვს ომის გამო დაიკვეთოს და სათადარიგო სანოვაგის საწყობები იქონიოს, ყოველდღე მოსალოდნელია უკიდურესი კრიზისი—შიმშილობა.

მაგრამ ყველა ამ საფრთხეს ბოლო აქვს რასაკვირველია, ომი გადივლის, ცხოვრება კალაპოტში ჩადგება, მრავალი ხალხი გაწყდება, მაგრამ მრავალი კიდევ დარჩება. მე და შენ, მკითხველო, იქნება აღარც კი გვეღირსოს მომავლის ნახვა, ან ომი წაგვიღებს ან სენი, მაგრამ ვინც გადარჩება მათთვის უარესი დღე დადგება - დღეები **ეკონომიური** ქიშპობისა. ამის შედეგები უკვე მრავლად იყო ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, მრავლად არის ეხლაც და მომავალში უმეტესი იქნება გამოქცეულთა წყალობით.

მაგრამ ამაზედ შემდეგ, თორემ წერილი მეტად გაგვიგრძელდა,

რ. გ.

სამხრეთის საფრთხე

I

სამხრეთიდან დაიძრა სომეხი, სპარსი, აისორი. თავიანთი მამა-პაპეული სამკვიდრებელი ერთბაშად დასტოვეს და ღონეს ღონობენ, ახალი ბინა სხვაგან დაიდგან. გამოქცეულთა რიცხვი დიდია; 120 — 150 ათასამდე ადის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჯერ-ლოდ პირველი არმიაა და რომ მას მეორე და მესამე გამოყვება. ასეთ წინასწარგულებას თავისი საბუთები აქვს. დღეს-დღეობით ეს აუარებელი მეოტი ხალხი ჩრდილოეთისკენ მოიწევს და ღია კარებში შემოჭრას ეძალება. ახლილია საქართველოს ბჭენიც და ბოქლომი სხვას უჭირავს. ამ გარემოების წყალობით და მხოლოდ ამ გარემოებისა, მომდგარი ნაოტი ხალხი წარმოადგენს აშკარა საფრთხეს. ამ ხალხის სახით ჩვენს ეროვნულ თვითარსებობას ახალი განსაცდელი მოევლინა. უნდა გვეფიქრა, რომ ეს ახლად შექმნილი გარემოება მიიპყრობდა ყოველი მოაზროვნე და მოდარაჯე ქართველის გულის ყურს; რომ იგი გახდებოდა საერთო ბჭობის და ფიქრის საგნად, და რომ ამ საერთო რკვევა-ძიებაში შემუშავდებოდა ერთი ეროვნული თვალსაზრისი — გამოსავალი წერტილი ჩვენი პრაქტიკისა. ასე არ მოხდა. ქართველი ინტელიგენცია და ქართული პრესა, ეტყობა, დღესაც უფრო უსხეულო კოსმოპოლიტნალიზმის კარებს სდარაჯობს, ვიდრე სხეულ-ღებულ საქართველოს ღია საზღვრებს. ქართული პრესა გაურბის ეროვნულ ბრძოლის ქაცვიან საკითხს; მას ჯერ კიდევ ეშოთირება, საჭოჭმანოდ მიაჩნია თამამი გაბედული ხმა ამოიღოს ეროვნულ თვით-განმტკიცების სახელით. საკუთარი ეროვნული აზროვნების დაძაბუნებამა და გაუგებარმა, უკრიტიკო ტრფიალმა ფრთოსან პრინციპებისადმი მოჰკლა ქართველ ინტელიგენტში ნიჭი ტერიტორიული წარმოდგენისა და დაახშო გრძნობა ტერიტორიის სიყვარულისა. ასეთი გონებრივი ვითარება დამრღვევია თავის არსებით და აკი ჩვენი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა უკამათოთ დასთმო საქართველოს ტერიტორიის მოზდილი ნაჭერი, ხოლო მეორემ ქართული ეროვნება სრულიად უტერიტორიოდაც წარმოიდგინა! და ყველა ეს ახლო წარსულის მოგონებაა... დღესაც, ეტყობა, ქართულ პრესას აინუნშიაც არ მოსდის საქართველოს მიწა-წყლისა და ქართველ მოსახლეობის სიწმინდის დაცვა, რომ ასეთის სიჯიუტით სდუმს. ეროვნული თვით-განმტკიცების გრძნობამ, რომელმაც უსათუოდ უნდა გადალახოს ყოველი ხელის შემშლელი პრინციპი თუ დოგმა და მთელი თავის ენერგიით გაილაშქროს საქართველოს ხელ-ახალი ეროვნული აჭრელებისა და აფერადების წინააღმდეგ, ჩვენს მოინტერნაციონალურ პრესას „კრიჭა“ ვერ გაუხსნა...

განა არ კმარა წარსული წლების დანაშაული რომ ამიგრიდან ახალიც არ მიუმატოთ?!

ს. კ.

სხვა და სხვა ამბები

„კავკ. სლოვოში (№ 26) დაბეჭდილია წერილი ვინმე „ლ. კ“-სი, გამოქცეულ აისორებზედ, სხვათაშორის ვკითხულობთ: „როდესაც მათ გაიარეს ნახიჩევანზედ, გაიგეს რომ ქალაქში არის გამოქცეულთა მაშველი ორგანიზაცია, რომელიც ურიგებს პურსა. მივიდნენ საქველმოქმედო კომიტეტში, ჩაეწერნენ რიგში და უცდიდნენ ლუკმა პურსა. მაგრამ როცა რიგი მათზე მიდგა *) უარი უთხრეს; კომიტეტი აისორების საშველად არ არის მოწვეულიო“. ყველამ უწყის თუ ვისი კომიტეტია მოწყობილი ნახიჩევანში და ადვილად მიხვდება თუ რა გულწრფელობით აცხადებენ ხოლმე: **Комитетъ по оказаніи помощи бѣженцамъ — безъ различія національности.**

——

იმავე „კ. სლოვოში“ ვკითხულობთ: „ახალი ბუხარიდან ქალაქის თავს მოუვიდა დეპეშა ბ ნ ქიქოძესაგან: „ვიცი რა მძიმე მდგომარეობა სომეხ-გამოქცეულებისა, შემიძლიან მივცე გამოსადეგ კაცებს სამუშაო გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში ბუხარის რკინის გზაზედ. ჯერ ჯეროობით ათას კაცს. თუ სასურველია ესა, მაცნობეთ დაწვრილებითი მისამართი“.

ჩვენ არ ვიცით, როგორ შეხვდება ამას სხვა და სხვა კომიტეტი, მაგრამ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ამ ორი ამბის განსხვავებაზედ.

——

მთელ თბილისში არსად მოიძებნება ამჟამად ქართული კალენდარი. შემთხვევით მოგვიხდა შეხ-

---

*) ეს ადგილი გამოტოვებულია არ ვიცი [illegible] ნახჩევანისა თუ სამხურ გაზეთის რედაქტორისაგან.

ვედრა რამდენიმე პირთან, რომელნიც აღშფოთებით ჩიოდნენ, რომ მთელი მაღაზიები დაიარეს და ასეთი კალენდარი ვერ იშოვნეს.

მართლაც სავალალოა, რომ ჩვენს რამდენიმე გამომცემლობიდან აზრად არავის მოსვლია წრეულ იმდენი კალენდრის გამოცემა, რომ ყველა მსურველი დაეკმაყოფილებინა.

— —

ქ. გორში იბეჭდება და მალე გამოვა იასონ კერესელიძის მიერ, ნიკო ლომოურის მოთხრობანი წინაპართა აჩრდილნი და ხერხი სჯობიან ღონესა სურათებით. მსურველთ შეუძლიათ დაიკვეთონ ამ მისამართით: ქ. გორი იასონ კერესელიძე. წიგნი სამოც გვერდიანი იქნება და ეღირება ორი შაური.

— —

ჟურნალ-გაზეთებიდან

„Die Post"-ი განიხილავს ევროპის დღევანდელ ომს და იმ დასკვნამდის მიდის, რომ თვით ომი გადასწყვეტს ვინ უფრო ძლიერია და ვის დარჩება ბატონობა. საინტერესოა ამ მხრით მათი მაღალი კილო და თავისთავისადმი ძლიერი რწმენა, ვითომც მათ და მხოლოდ მათ უნდა დარჩეთ მსოფლიო ბატონობა. „ნემცებმა ამ ომით უნდა დაუმტკიცონ მთელს ქვეყანას, — ამბობენ ზემო ხსენებულ გაზეთის ფურცლებზე, — რომ ყველაზე ძლიერი გერმანელები არიან, ვიდრე ამას წარმოიდგენდნენ ჩვენი მტრები; ამ ძალამ უნდა დაუმტკიცოს მათ, რომ ჩვენ მარტო ერთი გამარჯვებით არ დავკმაყოფილდებით. ჩვენ ყოველისფერს ვილონებთ, რომ ომი ძვირად დაუსვათ ჩვენს მტრებს, რომ სამუდამოდ დაჰკარგონ ხალისი კვლავ „მშვიდობიანობა დაარღვიონ". შემდეგ გაზეთი წინასწარვე აღწერს მოკავშირეთა სრულს განადგურებას და იმ ვაებას, რომელიც მოჰყვება მათ დამარცხებას. ამიტომ საბტიკ მუქარას უთვლის საფრანგეთს, რუსეთს და განსაკუთრებით ინგლისს, თქვენ სამარადისოდ ქედს მოგახრევინებთ დიდი გერმანიის „ნებისყოფის წინაშე, მის ძლიერების წინ მუხლს მოგაყრევინებთ". ამავე წერილიდან აშკარად სჩანს, რომ გერმანია სცდილობს საზღვრების გაფართოვებას, რაც მისი ეკონომიური ზრდისა და სამხედრო ძალისთვის იქმნება საჭირო. ასე რომ მარტო ერთი კონტრიბუცია ფულით, როგორც ეს მოხდა ამ 44 წლის წინად, სრულებით არ აკმაყოფილებს გაზეთს. გერმანია შეიძენს ფართო მიწებს, მაგრამ ეცდება უცხო ელემენტები არ ურიოს თავისაში. იგი მოაწყობს შინა კოლონიზაციას, როგორც ეს მოახდინეს პოზნანში. თუ რა სახით შესძლებს შეძენილ მამულის უფრო საიდეალო მოწესრიგებას, ამას გაზეთი შემდეგი ნომრისთვის ჰპირდება.

— —

„Hamburger Nachrichten"-ში დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „ჩვენ მხოლოდ ერთი მტერი გვყავს". ვინ არის ეს ერთიც? ამაზე გაზეთი შემდეგი შენიშვნით უპასუხებს, რა თქმა უნდა, ინგლისი. მისი დამარცხება იდეალია თვითეული გერმანელისთვის. ჯარისკაცებისთვის წინდაწინვე საჩუქრებიც კი დანიშნეს. ის, ვინც პირველად ფეხს დასდგამს ინგლისის ტერიტორიაზე, მიიღებს 5 0—2,500 მარკამდე. განსაკუთრებით დიდ ჯილდოს მიიღებენ მფრინავნი, რომელნიც პირველ დეკემბრამდე (1915 წ.) ყუმბარებს ჩამოჰყრიან ინგლისის სხვა და სხვა ქალაქში. ყველაზე დიდი ყურადღება მიქცეულია ლონდონზე და დუვრზე.

— —

გერმანულ დამხმარე კრეისერების მეკობრობა ატლანტიის ოკეანეში. „Temps" მოჰყავს ფრანგებისა და ინგლისელების დაღუპულ სავაჭრო გემების სია, რომელნიც შეიცავდნენ სულ 67,767 ტონა წყალთა ტევას. ამ გემების ამბავი კარგა ხნობამდის არსაიდან მოდიოდა. ეხლა უკვე იმ დასკვნას დაადგნენ, რომ გემები დაიღუპნენ. მათი უმეტესი ნაწილი სამხრეთ ამერიკისა და ევროპის შუა მსხვერპლი გახდა გერმანელ დამხმარე კრეისერთა მეკობრობისა. განსაკუთრებით სახელი გაითქვა ატლანტიის ოკეანეში მცურავმა კრეისერმა „კრონპრინც ვილჰელმმა".

— —

ჩვენის ცნობებით, ჩეხიაში მატულობს აღელვება. ბევრი გაზეთი დაკეტილია, რეპრესიები ძლიერდება, ბევრს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. („ბ. ვ".)

— —

ახალი „ცეპელინები". ბოლგარეთის პრესა იუწყება, რომ გერმანელები ამ ჟამად აშენებენ ახალ სახის „ცეპელინებს". ამათი განსაკუთრებული თვისება ის იქმნება, რომ მოტორები უხმო ექნებათ, მტერი ვერ გაუგებს ვერც თავდასხმას და ვერც ადგილს, თუ საიდან დაუშვენენ ყუმბარებს. ტვირთის ატანაც მეტი შეეძლებათ რამდენიმე ფუთიან ყუმბარების სასროლად.

— —

გერმანული ს.-დემოკრატები ომში. რეისტა-

გის დეპუტატი ზუდეკუმი, რომელმაც ნეიტრალური სახელმწიფონი შემოიარა განსაკუთრებულ დავალების შესასრულებლად, ამ ჟამად დაბრუნდა სამშობლოში და მოხალისედ ჯარში ჩაეწერა, უნტერ აფიცრის ხარისხით. მის მაგალითს მიჰბაძა ცნობილმა ესდეკმა, დეპუტატმა ჰერემ...

შეკრულ ყუთებთან *)

ჩვენი შიში გამართლდა: ჩვენი საეკლესიო საუნჯე უკვე **შეკრულ ყუთებშია**, მას ამ ახლო მომავალში გადიტანენ ან რომანოვკაში ან და მოსკოვში. არსებითად ჩვენთვის სულ ერთია მათი გადატანა. საქმე მხოლოდ პრინციპშია, ეს პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ ქართველ ერს გავუწიოთ ანგარიში. დღეს კი, ჩვენ ვიცით, რომ ეგრედ წოდებულ „ჩვენ მესვეურებისგან“ უკვე ხელმოწერილია, რომ მოსახლენი ახდეს! ხალხის დაუკითხავად მიაქვთ მისი საუნჯე, მიაქვთ ის, რისთვისაც მთელს საუკუნოებით თავს სწირავდა. მერე ვინ არიან ეს „მესვეურნი“? ვინ?—

მონურმა ლაქიობამ, უპირდაპირობამ მათ კარიერის იქით სხვა მოვალეობა დაავიწყა, თუნდაც მოვალეობა იგი სამშობლოს სახელით იყოს დაკისრებული. საქართველომ ასეთი პირები დიდი ხანია დამარხა. საქართველო აღარ იცნობს მათ თავის შვილებად. და აი, როდესაც საქმე მის პირად საკითხებს ეხება, ეს ვაჟბატონები მთელი საქართველოს სახელით გამოდიან და თავნებად აკეთებენ მას,

ბევრგან არც კი იციან, თუ რა ამბავი ხდება. პრესის მოვალეობაა ეს ამბავი გაახმაუროს, რომ თვითონ ხალხმა ან იღონოს რამე, ან და დასტური დასცეს „მესვეურთა“ გადაწყვეტილებას, რომელიც მის სულიერ სიკვდილის თანაბარი იქმნება. სხვა ერი ასე არ მოიქცეოდა. ჩვენმა მეზობელმა სომხობამ უფრო მეტი მხნეობა გამოიჩინეს, როდესაც ეჩმიაძინის სიმდიდრეს მორიგი საკითხი წარმოუდგათ. როდის მოხდა, რომ ჩვენ ასეთი ერთსულოვნება გამოგვეჩინოს? დღეს მაინც შევიგნოთ რომ ჩვენი საუნჯენი ჩვენი ერის შემოქმედია, მაშასადამე სჯობს თვითვე მისცეს პასუხი, თვითვე ამოიღოს ხმა, მოხსენება წარუდგინოს სადაც ჯერ არს! დაე, საქართველო დარწმუნდეს, რომ მისი მწყემს-მთავარნი თუ საერო მესვეურნი მისი შვილები არ არიან, რომ მათ მშობლის სიკვდილის განაჩენზე დიდი ხანია ხელი მოაწერეს! ჩვენ გვწამს, რომ მის მიერ აღმაღლებული ხმა უფრო ძლიერი იქმნება და შეისმენენ, ვიდრე საკარიკატურო მესვეურთა ხელმოწერის. მათი სფერო დღეს უპატივცემლობისა, დაკნინებისა, ერთ ურთისადმი შურიანობისა და გაუგებლობის ბუდედ გარდაქმნილა, თორემ აქაც ისევე ამოიღებდნენ ხმას და გზას უჩვენებდნენ ჩვენს ნივთების შესანახავად, როგორც ეს მოახერხა მცხოვანმა მღვდელ-მთავარმა გიორგიმ! ვიშ, რა მისაბაძი მაგალითია! მაგრამ არა! სად შესწევთ თბილისის სამღვდელოებას, ანუ ჩვენს საერო მესვეურთ, რომ ამდენი გამბედაობა და შორს გამჭვრეტობა გამოიჩინონ, თუნდა დღესაც, როდესაც ოსმალეთი აღარავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს ჩვენს ქვეყნისთვის! ნუთუ აღამაჰმად-ხანების დროს მოულოდნელად მტრის თავზე დასხმისას საქართველოს შეეძლო თავის საუნჯეთა დაფარვა და დღეს კი აღარ შეგვიძლიან სხვა გზა მოვნახოთ? ნუთუ ვერ ვამჩნევთ, თუ რა ეჭვებს ვუბადებთ ამით მთელს საქართველოს? არა, სჯობს კეთილგონიერებას დავუხმოთ გული, სჯობს ფრთხილად მოვიქცეთ, სჯობს ამ შეკრულ ყუთებს ისევ საქართველოში ვუჩვენოთ თავშესაფარი, ვინაიდან ქართველმა ერმა შეჰქმნა იგი და კანონიერადაც მოითხოვს შინ იგულებდეს მას, როგორც დიდების ტაძრის კარის ბჭეზე მიკრულ იმ რკინის დაფებს, სადაც მრავალ სიკეთესთან ერთად ჩვენი დაფარვის გარანტია აუნიშნიათ...

ქართლელი.

---

*) ამ წერილის დაბეჭდა ავტორის დამოუკიდებელ მიზეზის გამო ნაგვიანევად იბეჭდება.

გერმანელების ბანაკში

ეროვნული ბიბლიოთეკა





1) **პოლონეთში:** დახურული საფრები და ორმოები. 2) **საფრანგეთში:** საზვერი ადგილი. 3, **აღმოსავლეთ პრუსიაში:** ლედუტი ლეტცენის ტბასთან. 4) **გერმანელთა საველე ტელეფონი.**

1-ლ პერიოდის დასასრული ოსმალეთის ასპარეზზე

ოსმალეთის გამოლაშქრების პირველი პერიოდი უკვე დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, როგორც ვიცით, ამ ორი თვის წინად ოსმალოებმა მძლავრი იერიში მოიტანეს ყარსის მხრით, ხოლო მეორეთი ჭოროხზე. ერთმა ნაწილმა კიდევ, სადაც უფრო არარეგულიარული ჯარები იყვნენ, ვანისა და ადერბეიჯანის მხრით შეუტია. ამ მოულოდნელს და ფრიად გაბედულს ნაბიჯს მოჰყვა საშინელი სისხლის ღვრა, რომელიც დათავდა სარიყამიშთან და ყარაიურღანთან ოსმალეთის ჯარის განადგურებით. მართალია, დიდად დაზარალდა რუსის ჯარი, ისიც მართალია, რომ განსაცდელი ადგა ჯარს, მაგრამ მოთმინებამ, გამძლეობამ და ნერვთა სიმაგრემ იხსნა რუსის ჯარი დალუპვისაგან. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ აღმოსავლეთურ ფატალიზმით შეპყრობილი ოსმალო იძულებული გახდა ყოველისფერი ალლაჰის ანაბარად მიეტოვებინა და უგზო-უკვლოდ გაბნეულიყო. საზოგადო ზარმა დიდი ზიანი მიაყენა ჭოროხის ხეობაში ნასტუმრებსაც. აქაც ერთგვარმა დამარცხების შიშმა იჩინა თავი, მისმა აჩრდილმა ერთი-ორად აამაღლა რუსის მხედრობა და აი, ნელ-ნელი, მაგრამ ფრიად ბეჯითი ოპერაციებით ჭოროხის ხეობაც, ასე ვსთქვათ, გაწმენდილ იქმნა. ოსმალებს არ გაუმართლდათ იმედი, ვითომც მთელი აჭარა და ლაზისტანი მისცემდა მათ მხარს. მიუხედავად ამისა მთელი ეს მხარე უნებლიედ დასჯილი იქმნა და დღეს მთელი შავი ზღვის ნაპირები მხოლოდ უდაბნოს წარმოადგენს, ნაოხარს...

რაც შეეხება მესამე მხარეს, ადერბეიჯანისა და ვანის ვილაიეტში შესვლას, აქაც ოსმალოთ ჰქონდათ ერთგვარი ნიადაგი, რომელიც მცხოვრებთა ეთნოგრაფიულ პირობებზე იყო დამყარებული. ერთ მილიონ მცხოვრებლებიდან 140 ათასს შეადგენენ სომხობა და აისორები, დანარჩენნი სულ მაჰმადიანთა სხვა და სხვა ტომებს ეკუთვნიან. მაშასადამე, ბუნებრივად მოსალოდნელი იყო, რომ ოსმალნი აქ იპოვნიდნენ თავიანთ საოპერაციო ფრიად საგულისხმიერო ნიადაგს. მაგრამ ეთელი ამ მხარის დაჭერა ვერ შესძლეს ოსმალოებმა. ამისთვის დრო იყო საჭირო. მართალია, აქაც გაჩნდნენ მათი ჯარები, მაგრამ როგორც ვსთქვით, ყველა ესენი იყვნენ უფრო მოხალისენი და აქა-იქ შეგროვილი მებრძოლნი, რომელთაც იმდენი სითამამე გამოიჩინეს, რომ თავრიზიც კი დაიჭირეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ამათი დამარცხება ადვილად შეიძლებოდა, თუ რეგულიარული ჯარი მოახერხებდა იმდენი დრო ეხელოთა რომ მათ წინააღმდეგ გამოლაშქრა. ეს დროც არ იყო ისე შორს [illegible] და ყარაიურღანის ეპიზოდებმა აქაც იჩინეს თავი და რუსის მხედრობის გამოჩენისთანავე მთელი ეს მხარეც გაიწმინდა.

დათავდა ამით ომი? რა თქმა უნდა არა! ეს მხოლოდ პირველი პერიოდია, რომელიც რუსის მხედრობის სასარგებლოდ გადასწყდა. ამ ჟამად ოსმალნი მხოლოდ მოგვერების გზას ადგანან. თქმა არ უნდა, იმათაც მოსდით მაშველი ჯარები, ძალას იკრებენ, მაგრამ ეს „ძალის მოკრება" არც ისე ადვილი გახლავთ, რადგანაც ამაში უშლის რკინის გზის უქონლობა და უგზო-უკვლობა. ერთად-ერთი სისწრაფე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოახერხებს ოსმალეთი, რომ დესანტი გადმოსხას. ეს კი არც ისე ადვილია, თუ გავიხსენებთ, რომ ოსმალოს არც ისე ძლიერი ფლოტი ჰყავს, რომ ერთგვარი „რისკი" გასწიოს. მიუხედავად ამისა, ეს მაინც მოხდება... ოსმალეთი კვლავ გამოილაშქრებს, მაგრამ დროს აღნიშვნა კი შეუძლებელია: ამას მხოლოდ მომავალი თუ გვაჩვენებს.

დიოგენი.

ხმა საფარიდან

(დამე შეჯახება).

ზამთრის ღამეა, ქარი უბერავს ღონივრად, ღრმად ამოთხრილ ორმოში ძველმ ჯარის-კაცზედ აფრქვევს თოვლსა და გააქვს ღმუილი. სიცივე და ყინვა სუსხავს არე-მარეს. ხშირად ქარიშხალი ჰფარავს მიდამოს ნისლ-ბურუსით. მთვარე ხანდისხან გამოხევრეტს სქელ ღრუბლებში მიმქრალად, როგორც დღისით ჭრაქი. ქარი ცოტათი შეწყნარდა საშუალება მოგვცა დაბეჯითებით გადაგვევლო თვალი შემჩნეულ ადგილებზედ, საიდანაც მტერს ველოდებით. — სჩანს ამაღამ არაფერი იქმნება, მაგრამ გული მაინც ღელავს არ ისვენებს. — ის რაღაცას მოუთმენლად მოელის, მინდა დავამშვიდო, ვცდილობ ძილი მოვიწვიო — ვხუჭავ თვალებს, მაგრამ ამაოდ. — უცებ რაღაც ძალა მაკრთობს, სიცივეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარბაზნის გატანა პოზიციიზედ.

თან მეკიდება, ხელს უშლის დასვენებას. ვდები ისევ, რომ სიცივეს ვძლიო და ფეხის ბაკუნით ვავყურებ ვეებერთელა, თვალ უწვდენელ მინდორს, რომელსაც ვამჩნევ აქა იქ შავ მიწა შეზავებულ თოვლსა.—ეს ყველა ჩვენი საფარია, ჩვენი მოძმენი სხედან შიგ ჩემსავით აღელვებულნი. მე მაინც უკვირდები თვითეულ საფარს; მინდა შევამჩნიო სძინავს ყველას თუ ჩემსავით დამფრთხალნი არიან. ვამჩნევ ყველას სიფხიზლეს, ყველანი მზად არიან გაუმასპინძლდნენ გულადად მტერს. ასე, ამ მდგომარეობის ყოფნის დროს ჩემს გონებას, სულს, გრძნობას ოცნება იტაცებს, ჩემდა უნებურად მაგონდება თავისუფალი დრო ცხოვრებისა, როდესაც მხეცისაც არ მეშინოდა არამცთუ განათლებული ევროპიელის, როდესაც ადამიანს, კაცს ნუგეშად ვთვლიდი, და როდესაც მას დავინახავდი მარტო მყოფი არამცთუ არ ვემალებოდი, ან კიდევ ვემტროდი, არამედ კეთილის, ძმურის, ამხანაგობის ღიმილით ვეშურებოდი მისკენ. მაგონდება აგრედვე ასეთი ზამთრის ღამე მშვიდობიანობის დროს, როდესაც ომს, ბრძოლას, ადამიანის ხელით ადამიანების ხოცვა-ჟლეტას ვერც კი წარმოვიდგენდი და ვფიქრობ რა ძვირფასი დრო, რა სანატრელი წამი იყო მეთქი! მაგონდება კიდევ ჩემი სამშობლო კუთხე, მშობლები, ნათესავები, ტოლ ამხანაგები და ასე ამ მშვენიერ ფიქრებში მყოფს ბრძოლა სულ მავიწყდება, ასე მგონია, მართლაც შინ ვიყო, მაგრამ უეცრად მოულოდნელი სინათლე, შორს ჩემ წინ ჰაერში ატყორცნილი მაკრთოლებს, ჩემდა უნებურად იტაცებს გონებას. ცოტა დაკვირვებით ვამჩნევ, რომ ის მაშხალა იყო (რაკეტა) გული ღონივრად იწყებს ძგერას მკერდში; სიწყნარე ირღვევა: აქა-იქ ჩურჩული ისმის. გამოდის ბრძანებაც: „წინა ადგილი დაიჭირეთ, რაც შეიძლება წინ! აჰა დადგა ის მომენტი, რომლისათვისაც ამოდენახანი ვემზადებით, ნუ დაივიწყებთ ფიცს; არ დანებდეთ ამაყ მტერს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იმედით ძმებო!“ საშინელი წუთი დგება, საშინელი: შეტაკება გვიხდება მტერთან: კაცის მოკვლა, სისხლის ღვრა, დიდი საქმე გვიდგა წინ, ძალიან დიდი, მაგრამ თან და თან ვმაგრდები, რადგან სიკვდილი გმირული არის, რომელიც უბრალო სიცოცხლეზედ უარესი არაა. გული თან და თან მაგრდება, გმირული სული იცავს ჩემს გონებას. ისინი, თუ ჩვენ?! აგერ ჯარიც გაიჭრა საფარებიდან სიჩუმის დასაცავად ფოფხვით ამოდიან ორმოებიდან. ასეთის ფოფხვით გადავდივართ პატარა მანძილს, მაგრამ მტერი გვამჩნევს, იწყება სროლა... ტყვიისმფრქვეველიც ამუშავდა, მაგრამ ყველა უნაყოფოდ იკარგება, ჩვენს ჯარს არ ეკარგება ჯერ მტრის ნასროლი ტყვია. ამ მდგომარეობაში ვართ, რომ ბრძანებაც გამოდის: „Перебѣжка съ отдѣленіями лѣвый флангъ начинай, а въ остальныхъ часовый огонь“! აქა-იქ გაისმის უკვე დაჭრილთა კვნესა, ასე უახლოვდებით მტრის ჯარს 50—60 ნაბიჯზედ. ცოტა კიდევ და ჩვენი ჯარი, უფროსით წინ იჭრიშით გარბის მტრისაკენ უაზრო „ურას“ ძახილით; დაიწყო ხელჩართული ბრძოლა ხიშტებით. გაისმის მტრის და შინაურის ყვირილი; თოფის ჩხაკა-ჩხუკი გაყინულ თოვლზედ ფეხის შრიალი, თოფების სროლა, ყვირილი, კვნესა დაჭრილთა და ყველაფერი ირევა საშინელ გრგვინვად. ამ საშინელ ჩახა-ჩუხში გათენებამაც მოატანა. სინათლეზედ შევამჩნიე, რომ ნახევარზედ მეტი ჯარი მიწაზედ იყო გაშლილი. ეს წინადღით უტკეცი თეთრი თოვლი დღეს სისხლად იყო ქცეული. ასე გეგონებოდათ სისხლის ტბა არისო. არ გასულა კვლავ ცოტა ხანი, რომ მტერმა პირი იბრუნა და გაქცევაც იკადრა... ხმაჯ-

რობა თან და თან გვშორდება, თითო-ოროლა თოფის ხმა ისმის მხოლოდ, და ისიც შორს, შორს.. ვსიქრობ ამა დღეს ბოლო მოელო მეთქი... მინდა ღრმად ამოვისუნთქო, მაგრა ისევ თოფების სროლა, ტყვიების ზუილი გარშემო მომზადებული სულის თქმას ფილტვებშივე აბრუნებს. ვხედავ მეორე მხრით გამოჩნდა ახალი ძალა მტრისა, რომელიც ტყვიასავით მოეშურება ჩვენზედ. ხელახლად წინანდებური საზარელი წუთი დგება, მაგრამ მალე ახალი ძალაც მარცხდება მტრისა... ხმაურობა ისევ თან და თან კლებულობს. სიმშვიდე თან და თან შეუდგება, მხოლოდ ერთად-ერთი კვნესა და ისმის, ტირილი, მაგრამ ისიც თანდათან კლებულობს... განელდა.. ზოგს უხვევენ ჭრილობას, ზოგიც მიჰყავთ შესახვევად, ზოგიც იქვე სტოვებს სიცოცხლეს თვისას... გბინავს და კვდება... მზემაც ამოაწყო და გადახედა ჩვენს ნაძუშევარ მიდამოს. დაინახა რა ნაცვლად სუფთა თეთრი თოვლისა, ადამიანის ნაწვალევი მიდამო სისხლად ჭცეული, დაინახა რა ზედ უსულო გვამები დალურჯებულნი, სისხლ-დაცლილნი, უძრავი, საშინელი სანახავი, თითქოს ვერ გაუძლო მათ მზერას, ისე მიიმალა დაკუმშულ ღრუბლებში. ჩვენ კი.. ჩვენ შემდეგ ღამეს ველოდებით... ვნახოთ რა იქნება...

გიორგი ნიკოლაიშვილი.

ჩვენი ცხოვრება

(გაგრძელება)

II

ყის არ მოგეხსენებათ რა მშვენიერად დაიწყო საქმე კახეთში „**კახეთი**“-ს საზოგადოებამ, უფულოდ, ვარარაოდ. დამფუძნებელ წევრთ მიიტანეს თავისი საქონელი ე. ი. ღვინო, დაიწყეს ვაჭრობა იმ განზრახვით და იმედით, რომ მოეპოვებინათ ბაზარი კახური ღვინისათვის, გაესადებინათ რიგიან ფასებში და დაეხსნათ გაუმაძღარი ჩარჩებისა და წუწელა ვაჭრების, ეგრედ წოდებული „სირაჯები“-საგან მთელი კახეთი და მაშინარებელთისთვისაც მიეწოდებინათ ნამდვილი, შეურევნელი კახური ღვინო... რა ფრიად სასარგებლო და დიადი საქმე იქნებოდა დღეს „კახეთი“, რომ სათავეში იმ თავიოვე ჩასდგომოდა ევროპიულად ნასწავლი, გამოცდილი ანუ ევროპიულის ენით, რომ მოგახსენოთ ნამდვილი „კომერსანტი“!.. არამც თუ ჩვენსა და რუსეთში, საზღვარ გარეთ, უცხოეთშიაც მოფენილი იქნებოდა და დიდძალი ფული გასაღებოდა. ასე რომ მაელი ეს დარგი კახელების დაუშრეტელ ცხოვრების წყაროდ უნდა გადექცეულიყო და ის ვენახები, რომლებიც დღეს ფლობენ კახელი მეკვენახენი არ ეყოფოდა [illegible] ახალი ვენახების გაშენებას და [illegible] ქახელ მემამულეთა, რომლებიც გადადის სჩვევის ხელში სულ ვენახებად გადაკეთდებოდა და ხიდთიერად ერთი ათად წინ წავიდოდა, როგორც ჩვენი გაძვალტეკვეული თავდ-ზნეურობა ისე ჩვენი ბეჩავი გლეხკაცობა...

„**კახეთი**“-ს საზოგადოებას დღეს ეკელა დიდ თვალსაჩინო ქალაქებში უნდა ჰქონდეს ქართველ-ევროპიელად მშვენიერად მოწყობილი საკუთარი შესაბამი და სარდაფები ნომ ტექნიკის უკანასკნელ სიტყვით მოწყობილი. საზოგადოებას დღეს ფელის ბაერთანი უნდა თუ ეს რაღაცა სულ სიტა ორ მილიონ ეკლია ეკლია ეს ნოს უნდა ასალებდეს წელიწადში და ხარჯს გარეთ ვალოზე თავათ მასეთი, [illegible] ასეთ [illegible] ასეთად ხალხი მიგება უნდა ეჩვენებდეს, [illegible] „კახეთი“-ს საზოგადოებას უნდა აძლევდეს ორ მილიონ მანეთს ანდა სულ ცოტა ერ მილიონს მიგებს. [illegible] ება უნდა ეხმარებოდეს ეკელა მეკვენახეს. მეკვენახეობა-მეღვინეობაში ბირველი ადგილი უნდა ეჭირა ამ ერ ერ ერ

შა. დღეს სამარა შეტრიგრადში ადარ გაჩდავთ, ოქვენი ბერი ჭაიდი მკითხველდი, მოსკოვის განოფოფლება ა'ეთ განოფოფლება გაჩდავთ, რომ რიგორც მე და ოქვენ არას გვაძლევს მკითხველდი, ისე კახელ მეკეურეთა საზოგადოება „კახეთს“! მაშ რადათა აქვსი, იკითხავს მკითხველი! ისე ბატონი ტეუილა, სახელისათვის! ერთია საკითხვი: – რა მოხდა იმისთანა დიდ ქალაქში, რიგორიც არის მოსკოვი, ს

ლვეთ გაკეთებულს. ბარიქით ანგარიშებს თუ თვალს გადავუვლებთ დავინახავთ, რომ საზოგადოება „ეკონომ“ დიდი ზარალი აქვს!.. თუ ამისა ბრძანებენ, რომ დღესდღეობ ო ღვინო აქვთ და საქმე ფორფოტობს, აქ ახალ გამგეობას მაინცა და მაინც დიდი დავწდი და წიდი არ უდევს! ჩვენ ვნიდა ეშინოდეთ ამ 100 ათას მან, რომელიც აიდო სესხად თავად-აზნაურობისაგან.

რ. ფავლენიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ქართველ მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“

ორს თებერვალს საბეურნეო ბანკის დარბაზში მოხდა საზოგადო კრება მეხილეთა ამხანაგობა „ქართლისა“. დაესწრო მას წევრი. კრება გახსნა დროებით გამგეობის წევრმა—დ. დიასამიძემ. თავმჯდომარედ ამოირჩიეს ვ. მაჩაბელი, მდივნად—რ. გაბაშვილი.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა აკაკის სახელს და 25 მანეთი გადასდო მისი სახელის ფონდისათვის, გვირგვინის მაგიერ.

შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება საქმისა და ანგარიშის მდგომარეობაზედ გამოირკვა, რომ სამი თვის განმავლობაში მალაზიას ეკუთვნია 15,000 მანეთამდე. სიმპატია საზოგადოებისა დაუმსახურებია და ყოველდღიური ვაჭრობაც კარგა მიდის.

შემდეგ მოხსენდა კრებას საარევიზიო კომისიის მოხსენება, საიდანაც კრებამ დაინახა, რომ თუმცა გარეგნული საქმე კარგადაა დაყენებული, ბევრი შინაგანი ნაკლი ჰქონია, რასაც გასწორება სჭირია სულ ახლო მომავალში. მაგალ., ანგარიშის წიგნები უწესრიგოდ არის შედგენილი და განაწილებული; წევრები დაუკმაყოფილებული არიან, მაშინ როდესაც არა-წევრთა ხილი უფრო მეტადაა დაფასებული და სხ. კომისიას მიუქცევია ყურადღება იმისათვისაც, რომ არც ყველა წევრი მოჰქცევია საზოგადოებას სათანადო სიყვარულით, რის გამო მალაზიის საქმეები ისე კარგად არ იყო მოწყობილი, როგორც შეეფერებოდა ასეთ დიდს და კარგს საქმეს.

კომისიის აზრით, აუცილებლად საჭიროა საზოგადოებამ იქონიოს თავისი საწყობი სილისა გორში—მწარმოებელთა ბაღების მახლობელ ადგილას და იქიდანა ჰგზავნოს ხილი როგორც თბილისის მალაზიაში, ისე ბაქოსა და როსტოვის ბაზარზედ. ეს მოსაზრება კრებამ მიიღო და დიავალა გამგეობას უფრო დაწვრილებით გამოიკვლიოს ეს საქმე და ზედმიწევნითი ხარჯთ-აღრიცხვა წარმოადგინოს უახლოეს კრებაზედ:

კრებამ განიხილა ამხანაგობის ხელშეკრულებაც და სასურველადა სცნო ეს ხელშეკრულება შეცვლილი იყოს წესდებით, რომლის შემუშავება და წარმოდგენა უახლოეს კრებაზედ დაევალა საარევიზიო კომისიასა და გამგეობას. გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ გამგეობაში 6 კაცი უნდა იყოს—3 მომქმედი გორის რაიონში და სამიც ქალაქის კანტორისა და მალაზიისათვის—კრებამ მოიწონა და არჩევანიც ამ პირობით მოხდა. გამგეობაში არჩეულ იქმნა 6 კაცი (დ. დიასამიძე, ა. აბაშიძე, ა. ქარუმიძე, გ. მთავრიშვილი, ე. ავალიშვილი, და ი. ციციშვილი; კანდიდატად - ვ. ცაგარელი, რომელთაც დაევალათ ყველა სხვა საქმესთან შემუშავება სახელმძღვანელო ინსტრუქციებისა და საოქმედო გეგმისაც მომავლისათვის.

კრებამ განიხილა მთავარი მუხლებიც ვაჭრობის წარმოებისა (ბითუმად და გირვანქობით ვაჭრობა; გაზაფხულის ხილის შოვნა, კონსერვებისა, ჩირებისა და სხ. დარგები) და რადგან ყველაფერი ეს ჯერ დონეზედ არ არის დამდგარი საქმის სიახლისა და სირთულის გამო—ყველაფერის აწონ დაწონვა დაევალა ახალს გამგეობას რომელმაც უახლოეს ძმავალში უნდა წარმოუდგინოს კრებს დაწვრილებითი გეგმა მოქმედებისა.

დასასრულ დამტკიცდა ჯამაგირების რაოდენობა: გამგეს—75 მან. და 5 პროც. წმინდა მოგებიდან, ხაზინადარსა და მოანგარიშეს—სამ-სამი თუმანი და 2,5 პროც. გამოითქვა სურვილი მოსამსახურეთა შტატის შემცირებისა და გაუმჯობესებაზედ და კრება შეუდგა არჩევანს. გამგეობის დასახელებულ წევრების გარდა ამორჩეულ იქმნა. საარევზიო კომისიაც, შემდგარი სამი კაცისაგან: რ. გაბაშვილი, კ. კალატოზიშვილი, შ. ყიფიანი და კანდიდატად—ი, გულისაშვილი.

კრება დარწმუნდა, რომ საქმე ფრიად მომგებიანი და დიდმნიშვნელოვანია, როგორც გორის მაზრის მეხილეებისათვის, ისე საზოგადოთ ვაჭრობისა და მომხმარებლის თვალსაზრისით, ამიტომ ყოველ-

გვარი ნაკლი საცა შეიძლება მალე უნდა გამოსწორდეს, რომ საქმე ყოველმხრივ უხრუნველყოფილიყოს იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი გამგეობა, შემდგარი უფრო ახალგაზდური ენერგიით სავსე პირებისაგან — ღირსეულად მოექცევა ამ დიდს და სასარგებლო საქმეს და საზოგადოებაც არ მოაკლებს იმ მხურვალე სიმპატიას, რომელსაც აქამდის იჩენდა. ესურვოთ ახალ საქმეს ახალი სულის შეთვისება — წმინდა კოოპერატიულისა და საშაგალითო დაწესებულებად გადაქცევა.

წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.



1) ულანები წვადებს იკეთებენ. 2) ცხენოსანთა აფიცერი იკეთებს ვანას. 3) ჭგერმანელი ღენერლები სვამენ ჩაის. 4) ახალი ზარბაზანი ავიატორთა სადილის გასაგზავნი ზეცაში 5) ნადიროობა ხიხობზედ მეზარადის წვეტით. 6) გერმანელი სალდათები კაკალს ამტვრევენ აფიცრებისათვის ზარბაზნების საშუალებით.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

ყოველკვირეული საზოგადო-ეკონომიურ და სალიტ. ჟურნალ

წელიწადი მეოთხე.

„კ ლ დ ე“-ზედ.

წლიური ფასი ხუთი მან., ექვსი თვით სამი მან.

ცალკე ნომერი ორი შაური.

ყოველკვირეული საორშაბათო საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„შადრევანი“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის. გაზეთი ღირს 1 წლით — 2 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით — 1 მან. 25 კაპ., ერთი თვით — 25 კაპ. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი. კანტორის და რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ для **„Шадревани“**. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით. Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ **Александру Г. Мумладзе.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერესელიძისა, ქვაბაევის შესახვევი № 1.